დავიბრუნოთ საქართველო!

1 ოქტომბერს ჩაბარეთ ანგარიში ქართველ ხალხს

ასეთია საინიციატივო ჯგუფის მიმართვა „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილისადმი

„ნაციონალების“ თავგასულობა, ხელისუფლების თვითკმაყოფილება და საქართველოს მოქალაქეთა მზარდი უკმაყოფილება - ეს არის კონფლიქტის გზა, რომლის შედეგებიც კატასტროფული და გაცილებით საშიში იქნება სახელმწიფოსათვის, ვიდრე დღეს გამეფებული უიმედობა.

8 ივლისიდან დაიწყო მხარეებში, ქალაქებსა და რაიონებში საინიციატივო ჯგუფების შექმნა და დეკლარაციაზე ხელის მოწერა.

1 ოქტომბერს შედგება დიდი სახალხო შეკრება, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ნდობის რეფერენდუმი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, თუ სხვა. ეს რეალურად იქნება

სახალხო სასამართლო

ჩვენი მიზანია დავუბრუნოთ ხალხის კონტროლს ხალხის კონტროლიდან გასული ხელისუფლება!

პატივცემულო მეგობარო,
წინასწარ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ამ მამულიშვილურ საქმეში მონაწილეობისათვის.

გთხოვთ, თქვენი და თქვენი მეგობრების სურვილები, წინადადებები მიუთითოთ ხელისმოწერის დროს. სურვილის მიხედვით შეგიძლიათ იქვე აჩვენოთ კონკრეტული პუნქტები, რომლებსაც განსაკუთრებით ეთანხმებით, ან პირიქით არ მიგაჩნიათ მიზანშეწონილად. შეგიძლიათ განსაკუთრებული პოზიცია დააფიქსიროთ ელ.ფოსტით, ან ტელეფონით.

დარწმუნებული ვართ, 1 ოქტომბერს ერთად ვიქნებით მომავლის საქართველოსათვის!

ტელ. 2 443 446; 558 581155; 596 252522
ელ.ფოსტა: sainjgufi@gmail.com

საინიციატივო ჯგუფის განცხადება
„1 ოქტომბერს ჩაბარეთ ანგარიში საქართველოს“

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვადასტურებთ იმას, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერმა განაჩენი გამოუტანა, ერთის მხრივ, „ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის სადისტურ რეჟიმს და ამავე დროს, მოსახლეობაში, მთლიანად საქართველოში გააჩინა მომავლის დიდი იმედი.

ხალხი რადიკალურ ცვლილებებს ელოდა.

ხელისუფლება თვლის, რომ დანაპირები არათუ სრულდება, არამედ, გადაჭარბებით. ხალხის უდიდეს ნაწილში საპირისპირო განწყობაა: სამართლიანობა არ დადგინდა, „ნაცმოძრაობა“, რომელმაც უკადრებელი აკადრა ხალხს და ქვეყანას, გენოციდი მოუწყო საკუთარ ხალხს, ისევ პარპაშობს, უფრო მეტიც, ხშირად განსაზღვრავს კიდეც პოლიტიკურ პროცესებს, კატასტროფული რჩება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სოციალური მდგომარეობა, უიმედობა გაძლიერდა შრომით მიგრანტებში, კიდევ მეტი, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ღარიბი კიდევ უფრო ღარიბი და მდიდარი - კიდევ უფრო მდიდარი გახდა.

ხაზგასმით და გამოკვეთილად ვამბობთ: პოლიტიკური რეალობა ქვეყანაში ისეთია, რომ ხალხი, მიუხედავად ცნობილი ურთიერთდაპირისპირებისა, ხელისუფლებას აღიქვამს როგორც „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთობას.

ნაციონალების თავგასულობა, ხელისუფლების თვითკმაყოფილება და მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება - ეს არის კონფლიქტის გზა, რომლის შედეგებიც კატასტროფული და გაცილებით საშიში იქნება სახელმწიფოსათვის, ვიდრე დღეს გამეფებული უიმედობა.

ჩვენ ვთვლით, რომ საჭიროა მდგომარეობის სიღრმისეული ხედვა, „ქართული ოცნების“ 2012 წლის ოქტომბრის საარჩევნო პროგრამის შესრულების დეტალური ანალიზი, როგორც რესპუბლიკურ, ასევე მხარეების, ქალაქებისადა რაიონების მიხედვით... ანალიზი, რომელიც არც ხელისუფლებას მისცემს მოსახლეობის მოტყუების საშუალებას და მეორეს მხრივ, არც მოსახლეობას მისცემს იმის საშუალებას, რომ უსაფუძვლოდ აკრიტიკოს ხელისუფლება.

ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ამ რთული პროცესის ცივილიზებული ფორმებითა და მეთოდებით წარმართვისათვის და ქვეყნისათვის სასარგებლოდ დამთავრებისათვის, იმ აუცილებელი პირობით, რომ დღეს, რეალურად, ყველა დონეზე ხალხის კონტროლიდან გასული ხელისუფლება სწორად აღიქვამს მოსახლეობის ამ მოთხოვნას და მასთან დამოკიდებულებაში არ გამოიჩენს პოლიტიკურ ამპარტავნებას.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ უკვე შემუშავებულია დეკლარაცია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი, როგორც არსებული პრობლემები, ისე მათი გადაწყვეტის ჩვენეული ხედვები. მოსამზადებელ პერიოდში აღნიშნული დოკუმენტი შეივსება გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების კვალობაზე.

ჩვენ ვადასტურებთ მადლიერებას და პატივისცემას ყველა იმ პოლიტიკური პარტიის არასამთავრობო ორგანიზაციისა და მოქალაქეთა გაერთიანების მიმართ, რომელთაც აქვთ ან შემდგომში ექნებათ სურვილი, მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. ჩვენ განსაკუთრებულად გვეიმედება მეცნიერთა მონაწილეობა ამ პროცესის მიუკერძოებლად წარმართვაში.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს პროცესი ღიაა ყველა დაინტერესებული პიროვნებისთვის და ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ პროცესს ექნება ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის განსაკუთრებული თანადგომა.

აღნიშნული განცხადებით იწყება მხარეებში, ქალაქებსა და რაიონებში საინიციატივო ჯგუფების შექმნა და მომზადებულ დეკლარაციაზე საყოველთაო ხელის მოწერის პროცესი, რომელიც ღია იქნება მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე და რომლის დროსაც ყოველ ხელისმომწერს საშუალება ეძლევა, საჭიროების შემთხვევაში გამოხატოს თავისი მოსაზრება, სურვილი, წინადადება, რომელიც გათვალისწინებული იქნება საინიციატივო ჯგუფის მიერ.

2014 წლის 1 ოქტომბერი უნდა გახდეს დღე, როდესაც საქართველო გონებით და არა ემოციით მიიღებს გადაწყვეტილებას.



08.07.2014წ

ხელმოწერა შესაძლებელია ტელეფონით და ელექტრონული ფოსტითაც
ტელ. 2 443 446; 558 581155; 596 252522
ელ.ფოსტა: sainjgufi@gmail.com

დეკლარაცია
დავიბრუნოთ საქართველო!

1 - **ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი**, ვადასტურებთ, რომ მიუხედავად მცდელობისა, ქვეყანა განვითარებულიყო ცივილიზებულ სამყაროში მიღებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ნორმების შესაბამისად - ქვეყანაში სისტემურ კრიზისია. ცალკეული წარმატებები ვერ ძლევენ პერმანენტულად განვითარებულ უარყოფით პროცესებს სახელმწიფოსა და ერის პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი განვითარების სფეროში.

2 - **ჩვენ გაგვიძლიერდა იმის შეგრძნება**, რომ ერი, რომელიც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ერთადერთი სუბერენია, დღემდე ვერ გახდა ქვეყნის პატრონი. საქართველო კვლავაც იმართება ქვეყნის გარე ძალების მიერ, მათი ინტერესების შესაბამისად და ჩვენი სახელმწიფოს საზიანოდ.

3 - **ჩვენ ვხედავთ,** რომ ქვეყანას მორიგეობით განაგებენ ძირითადად გარედან თავსმოხვეული, ამისათვის საგანგებოდ გაწვრთნილი არაქართული ცნობიერების სუბიექტები, რომლებიც მიუხედავად დეკლარირებული ურთიერთწინააღმდეგობისა, სინამდვილეში წარმოადგენენ შესაბამისი უცხოური ინსტიტუტების მიერ შერჩეულ და მომზადებულ მათივე ერთგულ კადრებს, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ ქართულ ცნობიერებასთან, ეროვნულ სიამაყესთან, ქრისტიანულ მორალთან, აღმატებული სულიერი გამოცდილებითა და კდემამოსილებით საქვეყნოდ ცნობილ ქართულ ფენომენთან.

4 - **ჩვენ გვაფიქრებს,** რომ ის, რაც არ გვაკლია, დამანგრეველად ბევრია, ეს არის ქვეყნის გარე ძალთა მსახური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებები... რაც არნახულად გვაკლია - ეს არის ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საინფორმაციო საშუალებები. პირველთ არნახულად აფინანსებენ გარედან. მეორენი კი, რომელნიც სასიცოცხლონი არიან საქართველოსათვის, უსახსრობით სულს ღაფავენ.

5 - **ჩვენ შეძრულნი ვართ იმ გარემოებით**, რომ ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოებრიობის უპირველესი საუნჯე: ქართული ცნობიერება, ქართული აზროვნება, ქართული მორალი დაუნდობლად ფეხქვეშ ითელება და იცვლება ყალბი ფასეულობებით. ძლიერდება ნიჰილიზმი, აგდებული დამოკიდებულება ქართველი ხალხის ისტორიული ღირებულებებისა და მონაპოვარისადმი, უახლოეს წარსულში მიღწეული მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებებისადმი მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, სპორტში.

6 - **ჩვენ ერისათვის მეტად სახიფათო ტენდენციად მივიჩნევთ** თავაშვებული სექსის, ძალადობის, სადიზმის, გაუკუღმართებული ურთიერთობების დამკვიდრების არაერთ მცდელობას ლიტერატურაში, პრესაში და თავად საკანონმდებლო დონეზეც კი.

7 - **ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს** დედა ენის დამახინჯება და შერყვნა. ბარბარიზმების უხვად შემოტანით დაწყებული და თავაწყვეტილი ბილწსიტყვაობის მიზანმიმართული დამკვიდრებით ხელყოფილია მსოფლიო ცივილიზაციისათვის უნიკალური მოვლენა - ენა ქართული.

8 - **ჩვენ ერთხელ კიდევ შევახსენებთ** დასავლელ მეგობრებს, რომ ის, რაც მათ თავის დროზე წაიღეს ელინთა, რომაელთა და კოლხთა ცივილიზაციიდან - ადამიანისთვის ღვთითბოძებული, ანუ ბუნებითი უფლება: სიცოცხლის, სიტყვის, საკუთრებისა და კეთილდღეობისაკენ ლტოლვის - აღიარებულ და მხარდაჭერილი იყო ქართველთა მეფეთმეფის მიერ მაშინ, როდესაც ზოგიერთი სახელმწიფო არც არსებობდა, ხოლო ამ პრინციპების ევროპაში შეუქცევადობას საუკუნეების მანძილზე ხმლითა და ჯვრით იცავდა და ქმნიდა ადრე შუასაუკუნეების რენესანსს ევროპული ცივილიზაციის აღმოსავლეთის განაპირა გოდოლი - საქართველო.

9 - **დანანებით ვამბობთ**, რომ ბოლო ოცი წლის მანძილზე, ჩვენს ხელისუფლებას ცივილიზებული მსოფლიოსაგან მოაქვს ის, რაც უცხოა და შეუთავსებელია ქართული ცნობიერებისათვის. ჩვენ გვეუბნებიან, რომ გარე სამყაროსთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ფიზიკურ შრომას. მაშინ, როდესაც ჩვენი, როგორც უნიკალური შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ერის ურთიერთობანი უნდა ეფუძნებოდეს გონებას, ანუ ინტელექტს.

ინტელექტი და ბიზნესი - აი ორი საყრდენი, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები და რომელთა წყალობით უნდა მოხდეს საქართველოს სრული რეინტეგრაცია ერთა დიდ ოჯახში.

10 - **ჩვენ ვადასტურებთ**, რომ გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივი მოვლენაა და მასთან ბრძოლა მხოლოდ უვიცთ ხვედრია, მაგრამ ყოველი ჩვენგანი თავს მოვალედ თვლის, იმოქმედოს ამ გლობალურ პროცესში სწორედ კულტურისა და ტრადიციების დაცვით, ინტელექტუალური ბიზნესის აღორძინებით - ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

11- **ჩვენ ღრმად გვაფიქრებს** ის, რომ უცხოელ პატრონთა მიერ შერჩეული, და არა ქართველი ხალხისაგან წარმოჩინებული სხვადასხვა დონის თანამდებობის პირები - ყალბად მიითვისეს რა ეროვნულის, დემოკრატის, ხალხზე მზრუნველის და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლის სახელი, რეალურად აკეთებენ საპირისპიროს - ხალხს წაართვეს ქვეყანა, დემოკრატია და თავისუფლება... თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე ღიად, თუ შეფარულად ჰუმანიზმის სახელიტ ამკვიდრებენ ელიტურ კორუფციას, ჩინოვნიკების თვითნებობას, სოციალურ დემაგოგიას.

12 - **ჩვენ გულისტკივილით ვამბობთ**, რომ მაგალითიც კი არ გვაქვს, რომ ჩინოვნიკზე გამოქვეყნებულ მამხილებელ მასალას რეაქცია მოჰყოლოდეს სახელისუფლებო წრეებში. იგნორირება კლავს სიმართლეს, სამართლიან გარემოს. ეს დიდი ხანია დამკვიდრდა საქართველოში. ხელისუფლებებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა კარგად

აითვისეს რა ხალხის ენაზე ლაპარაკის ტექნოლოგიები და დემაგოგია, გაუნათლებლობით, ხალხი აქციეს თავის მსახურად, სურთ დაიმონონ. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვლილი ოცწლეული - არის ხალხის ენაზე, ხალხის გაჭირვებაზე ყალბი მზრუნველობით მოლაპარაკე, ფსევდო-ხელისუფალთა ეპოქა.

13 - **ჩვენ ერის განვითარებისათვის** უდიდეს საშიშროებად მივიჩნევთ შექმნილ რეალობას, როდესაც აბუჩად აგდებულია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა, პატიოსნება, თაობათა კავშირი, ოჯახის ინსტიტუტი.

14 - **ჩვენ უკიდურესად გვაშფოთებს**, რომ თაობათა შორის სულიერი კავშირის მიზანმიმართული ჩაჩეხვით აღმოცენდა ქართული აზროვნებისათვის მიუღებელი, მსოფლმხედველობით - კოსმოპოლიტების და სულით - ჯაშუშების არაფორმალური კლანები და სექტები. ისინი გარკვეული უცხოური ორგანიზაციების მფარველობით აქტიურად მუშაობენ ქართული სულიერებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

15 - **ჩვენ აღშფოთებულნი ვართ**, რომ ადამიანები, რომლებიც ხედავენ და ხვდებიან ქვეყანას თავდატეხილ უბედურებას, ჩაყენებულნი არიან მეტად უხერხულ მდგომარეობაში. მათ ხშირად ცილს სწამებენ, დასცინიან, ზოგჯერ მოღალატეებად დამნაშავეებადაც კი აცხადებენ. ერისკაცები გარიყულნი არიან ეროვნული საქმიანობისაგან. ზოგადეროვნულ საკითხებს კი სხვათა მარიონეტები წყვეტენ. ორი ათეული წელია, ქვეყანაში კადრის შეფასების მთავარ კრიტერიუმად მიჩნეულია არა ქვეყნისადმი, არამედ ხელისუფალისადმი პირადი ერთგულება. პოლიტიზებულია ნიჭი და ნიჭიერება, ებრძვიან ძლიერს, დაუცველია ადამიანი.

16 - **ჩვენ ვაღიარებთ**, რომ ყველაფერ ზემოთქმულში ჩვენი წილიცაა, პირველ რიგში – ინტელექტუალური ადამიანებისა, რომლებიც დიდი ხანია, განვერიდეთ პოლიტიკას და ამით ყველა სხვას მივეცით საშუალება, გაქცეულიყო პოლიტიკაში. ეს გამოკვეთილად ითქვა ჯერ კიდევ 2006 წლის 13 ივნისს დიდ ეროვნულ ფორუმზე

ჩვენი ეს ინიციატივაც ამ ფორუმის განწყობის გაგრძელებაა.

17 - **ჩვენ ყველას მივესალმებით**, ვინც კანონიერების საფუძველზე აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, ვადიანი თუ ვადამდელი არჩევნების გზით. ჩვენ ერთსულოვანნი ვართ იმაშიც, რომ არჩევნებს არ შეიძლება წარმართავდეს ის დაუხვეწავი და ჯერ კიდევ არადემოკრატიული კანონი, რომელიც დღეს მოქმედებს ქვეყანაში და ფაქტიურად უაზროს ხდის არჩევნებში მონაწილეობას. ჩვენ ერთსულოვანნი ვართ იმაშიც, რომ არჩევნებს არ შეიძლება წარმართავდეს ძველი საარჩევნო ადმინისტრაცია, ადმინისტრაციული რესურსების სრული და უსირცხვილო გამოყენებით, ძალოვანი და სამართალდამცავი ორგანოების ზღვარგადასული ზეგავლენით.

18 - **ჩვენ ვხედავთ იმასაც**, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანების განსახორციელებლად სახელმწიფოს მმართველობის პროცესში ის ადამიანები უნდა შემოვიდნენ, რომელთა მეთოდია მეცნიერული, სისტემური მიდგომები ყველაფრის, მათ შორის რეფორმებისა და გარდაქმნების მიმართ.

19 - **ჩვენ გვინდა რომ ყველას ვუთხრათ**: დამთავრდეს ანონიმური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების დრო და დაიწყოს სოლიდარული მოძრაობა ქვეყნის გადარჩენისათვის. ეს მითუმეტეს საჭიროა დღეს, როდესაც ხელისუფლების მიერ სამართლიანობის დადგენის უაზროდ გაჭიანურების ფონზე მიუხედავად მათი მხრივ დეკლარირებული უარყოფისა, რეალურად ჯიუტად გრძელდება ერის წინაშე დამნაშევე „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაციისა და მასთან კაპიტაციის რეჟიმი, რაც სულ უფრო ხელშესახებს ქმნის „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე პოლიტიკურ ძალად წარმოჩინებას და ხელისუფლებაში დაბრუნების საშიშროებას.

20 - **ჩვენ მოვთხოვთ პასუხს „ქართულ ოცნებას“** იმისათვის, რომ მან არათუ არ გამოიჩინა პოლიტიკური ნება დაემთავრებინა „ნაციონალური მოძრაობის“ ზღვარდაუდებელი პოლიტიკური ვნება, არამედ ისიც ვერ მოახერხა, რომ თავისივე გუნდის საშუალო და უმაღლეს ეშელონებში აელაგმა მომხვეჭელობა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ეს განწყობა ბევრშია, რაც საზოგადოების ბუნებრივ პროტესტს იწვევს. ჩვენ შევძლებთ ერთმანეთთან მისვლას და მომავლის საქართველოს ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბებას. ეჭვი არ გვეპარება, რომ 2014 წლის 1 ოქტომბერი იქნება დღე, როცა პასუხი მოეთხოვება „ქართულ ოცნებას“ დაპირებულის შეუსრულებლობისთვის და იმისთვისაც, რომ ასე პარპაშობს ქვეყანაში „ნაცმოძრაობა“, ის ძალა, რომელმაც უკადრებელი აკადრა ხალხს და ქვეყანას, გენოციდი მოუწყო საკუთარ ხალხს. პასუხი მოეთხოვება იმისათვისაც, რომ სამართლიანობა არ დაადგინა – არც ხალხს, არც ბიზნესმენებს წართმეული არ დაუბრუნა. პასუხი მოეთხოვება იმისათვის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ღარიბი კიდევ უფრო ღარიბი და მდიდარი კი – უფრო მდიდარი გახდა.

21 - **ჩვენ მიგვაჩნია**, რომ ეს მოაზროვნე და პატრიოტი ადამიანები უნდა გაერთიანდნენ. ამის დასტურის ერთი დიდი და გამორჩეული დღე კვლავ იქნება 1 ოქტომბერი. **ჩვენ გვჯერა,** რომ დასაბამი მიეცემა მეცნიერულ და ეროვნულ- სახელმწიფოებრივი პოლიტიკური აზროვნების შერწყმას. საქართველოს არ ექნება მომავალი, თუ მასზე ზრუნვას ჩვენ ყველანი არ გავინაწილებთ.

22 - ჩვენ დავნერგავთ პრინციპს: ქვეყანას მართავს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება – ხელისუფლებას მართავს საზოგადოება – საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.

ეს კი ნიშნავს, რომ ხელისუფლება უნდა დაუბრუნდეს მის მთავარ წყაროს - ხალხს და ამის პირველი მთავარი ნიშანი იქნება საერთო შეთანხმება ხელისუფლებისადმი ნდობის რეფერენდუმის, ან განახლებული დემოკრატიული კანონმდებლობით ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თაობაზე.

დეკლარაცია ხელმოწერებისათვის ღიაა 2014 წლის 8 ივლისიდან - 1 ოქტომბრამდე

№	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქალაქი ტელეფონი.	ხელმოწერა	შენიშვნა, მოსაზრება, წინადადება.
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				
17				
18				
19				
20				
21				
22				
23				
24				
ხელმოწერების ორგანიზატორი				ხელმოწერა შესაძლებელია ტელეფონით და ელექტრონული ფოსტითაც ტელ. 2 443 446; 558 581155; 596 252522 ელ.ფოსტა: sainjgufi@gmail.com

ეს დიდი პროცესი „ასავალ-დასავალის“, „კვირის ქრონიკის“ , „ახალი თაობის“ და სააგენტო „რეპორტიორის“ საინფორმაციო მხარდაჭერით დაიწყო.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ პროცესს ეროვნული და სახელწმიფოებრივი განწყობის ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის დიდი ხარდაჭერა ექნება.

იგნორირება გახდა მართვადი ანარქიის პოლიტიკური ინსტრუმენტი

პოზიცია დაფიქრებისათვის

დრო ადასტურებს, რომ დემოკრატია არის მხოლოდ იმ ქვეყანაში. სადაც ხელისუფლება ქმნის კონკურენტულ გარემოს და გარემოა სამართლიანი.

ვისაც სჯერა, რომ საქართველოში კონკურენტული გარემოა, ბიზნესში, პოლიტიკაში, განათლებაში, კულტურაში და საერთოდ, საზოგადოებრივი ყოფის რომელიმე მიმართულებით, - მასთან კამათს არ ვაპირებ.

ბიზნესში - აღრეც და დღესაც ხელისუფლებასთან დაკავშირებული მაფიოზები ბატონობენ, პოლიტიკაში - საარჩევნო ხმების ყაჩაღები მომრავლდნენ. კულტურაშიც, განათლებაშიც და მეცნიერებაშიც მოირღვა ყველაფერი - მთავარია არა კონკურენცია, არა ნიჭიერება, არამედ ხელისუფლებისადმი მორჩილებით მიღებული კეთილგანწყობა.

ყველაფერი ეს დიქტატორული აზიაა და არა დემოკრატიული ევროპა.

კამათს არც მათთან ვაპირებ, ვინც თვლის, რომ ქვეყანაში სამართლიანი გარემოა.

ძალიან მინდა, ვცდებოდე და მართალი იყვნენ ისინი, ვინც თვლის, რომ ქვეყანაში კონკურენციაა, ქვეყანაში სამართლიანი გარემოა, ან თუნდაც, ხელისუფლებას აქვს, როგორც ერთის, ასევე მეორეს რეალიზების მტკიცე ნება. წარმოუდგენელია, ეს ნება ჰქონდეს იმ ხელისუფლებას, რომლისთვისაც იგნორირება, ანუ მისთვის მიუღებელი ნებისმიერი ფაქტის თუ მოვლენის უყურადღებოდ დატოვება, არაფრად ჩაგდება - გახდა მართვადი ანარქიის პოლიტიკური ინსტრუმენტი.

ჩვენში დემოკრატიას საკმაოდ დიდი ხანია ებრძვის სულთამხუთავი იგნორირება, რომელმაც უკვე პოლიტიკური ცუნამის მასშტაბი შეიძინა.

მოყოლებული „მოქკავშირიდან“, ისეთი მოვლენის როლი, როგორიცაა იგნორირება, გამოკვეთილად იზრდება, განუსაზღვრელ მასშტაბებს მიაღწია „ნაცმოძრაობის“ ეპოქაში, პოზიციას მყარად ინარჩუნებს „ქართული ოცნების“ ხელშიც.

რაც გინდა თქვი, ვისზეც გინდა თქვი, არც მთქმელს სთხოვენ პასუხს ნათქვამისათვის და არც იმას, ვისზეც ამბობ. მით უფრო, რომ თუ ეს უკანასკნელი სახელმწიფო მოხელეა.

ევროპაში პასუხს გაგებინებენ ცილისწამებაზე და წარმოუდგენელია, მოკვლევის გარეშე დარჩეს მედიის საშუალებებით გამოქვეყნებული ბრალდება რომელიმე ხელისუფალის მიმართ. ესაა ევროპული გზა. სწორედ ამიტომ, ჟურნალისტებიც და პოლიტიკოსებიც მკაცრად აკონტროლებენ ყოველ გამოთქმას, მაგრამ რასაც წერენ, გამორიცხულია, რეაგირების გარეშე დარჩეს. ანალიზი ადასტურებს, რომ ევროპაში მიმდინარე წელს, ასზე მეტი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე შეეწირა მედიაპუბლიკაციებს.

ჩვენთან სრულიად განსხვავებული, სწორედ რომ ევროპისაგან განსხვავებული განწყობაა. მაგალითიც კი არ გვაქვს, რომ რომელიმე ჩინოვნიკზე გამოქვეყნებულ მამხილებელ მასალას რაიმე სახის გაგრძელება რომ მოჰყვა სახელისუფლებო წრეებში. სწორედ იგნორირება კლავს სიმართლეს, სამართლიან გარემოს და ყველაფერი ეს ხელისუფლებიდან მოდის. ხალხი, ჟურნალისტები უმძიმეს მამხილებელ ფაქტებს აქვეყნებენ ... აშკარად სჩანს, რომ აბსოლუტური უმრავლესობა სიმართლეა. ტრაგედია იმაშია, რომ არც ბრალდებული მიმართავს სასამართლოს და არც ხელისუფლება ცდილობს სიმართლის დადგენას.

იგნორირება არის - არა მარტო საკუთარი, არა მარტო პარტიული მეგობრის, არა მარტო შენთვის მისაღები ადამიანისათვის სკამის შენარჩუნების გზა, არამედ, ქვეყანაში უსამართლო გარემოს, უსამართლობის დამკვიდრების დამანგრეველი გზა. სწორედ იგნორირების გამოა ხელისუფლება გასული ხალხის კონტროლიდან ყველა დონეზე - ცენტრალურით დაწყებული, ადგილობრივით დამთავრებული.

ხელისუფლება, რომლისთვისაც იგნორირება ფარია საკუთარი სახის და იმიჯის შენარჩუნებისათვის, საქვეყნო საქმეს ვერასდროს ვერ გააკეთებს. .. ასეთი ხელისუფლება ხალხის მსახური კი არ არის, არამედ ხალხს აქცევს თავის მსახურად, როგორც ეს დიდი ხანია დამკვიდრდა საქართველოში და რასაც, სამწუხაროდ, ჩვენც ვითმენთ.

მე ვიბრძოლებ ისეთი ხელისუფლებისათვის, რომლისთვისაც სულ ერთი არ იქნება, რა იწერება მასზე და მის წევრებზე პრესაში... სულ ერთი არ იქნება, რას ამბობენ ტელევიზიებში, საერთოდ, ელექტრონულ მედიაში.

ვიცი, ეს განწყობა ბევრშია. ჩვენ შევძლებთ ერთმანეთთან მისვლას. პირველი ნაბიჯი 8 ივლისის შეკრება იქნება. ეჭვი არ მეპარება, რომ 2014 წლის 1 ოქტომბერი იქნება დღე, როცა პასუხი მოეთხოვება „ქართულ ოცნებას“ დაპირებულის შეუსრულებლობისთვის და იმისთვისაც, რომ ასე პარპაშობს ქვეყანაში „ნაცმოძრაობა“, ის ძალა, რომელმაც უკადრებელი აკადრა ხალხს და ქვეყანას, გენოციდი მოუწყო საკუთარ ხალხს. პასუხი მოეთხოვება იმისათვისაც, რომ სამართლიანობა არ დაადგინა - არც ხალხს, არც ბიზნესმენებს წართმეული არ დაუბრუნა, მაშინ როცა თავისი ყველაფერი დაიბრუნეს. პასუხი მოეთხოვება იმისათვის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ღარიბი კიდევ უფრო ღარიბი და მდიდარი კი - უფრო მდიდარი გახდა.

თემურ შაშიაშვილი
საინიციატივო ჯგუფის წევრი

26.06.2014წ

ყველა მასალის ნახვა შეგიძლიათ საიტზე www.tetrebi.org